ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილების, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის (04.05.2023 წლის №19/4423124103-44) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ აგვისტოს №---------- მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოსათვის" (ს/ნ 204395537) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა №205 სახლის წინ მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (სკვერი; ფართობით - 131.0 კვ.მ; საკადასტრო კოდის №03.05.25.258), პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებული იქნას მართლმადიდებლური ეკლესიის სამრეკლოს მშენებლობის მიზნით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი